

საოლიმპიადო პროგრამა ფიზიკაში

1. ნივთიერების შედგენილობა. მოლეკულები და ატომები.
2. დიფუზია.
3. მოლეკულების ურთიერთქმედება.
4. ნივთიერების მყარი, თხევადი, აირადი მდგომარეობები და მათი მოლეკულურ აგებულებათა განსხვავება.
5. ნივთიერების სიმკვრივე. სიმკვრივის ერთეულები. სიმკვრივის განსაზღვრა.
6. სიჩქარე, თანაბარი და არათანაბარი მოძრაობა. კოორდინატისა და სიჩქარის დროზე დამოკიდებულება თანაბარი და თანაბარაჩქარებული მოძრაობის დროს.
7. ნიუტონის პირველი და მესამე კანონი.
8. სხეულთა ურთიერთქმედება. მასა.
9. მსოფლიო მიზიდულობის ძალა. სიმძიმის ძალა.
10. დრეკადობის ძალა.
11. ერთი წრფის გასწვრივ მიმართული ძალების შეკრება.
12. ხახუნის ძალა. სრიალის და უძრაობის ხახუნი.
13. წნევა. წნევა სითხესა და აირში. პასკალის კანონი. ჰიდრავლიკური წნეხი.
14. ზიარი ჭურჭელი.
15. ატმოსფერული წნევა. ტორიჩელის ცდა. არქიმედეს კანონი.
16. მექანიკური მუშაობა, ენერგია და სიმძლავრე. ენერგიის მუდმივობის კანონი.
17. სიმძიმის ცენტრი, სხეულთა წონასწორობა.
18. ძალის მომენტი, მარტივი მექანიზმები. ბერკეტი. მექანიკის ოქროს წესი.
19. დახრილი სიბრტყე. მექანიზმის მ.ქ.კ.
20. სითბური წყაროები. ნივთიერებათა სითბური გაფართოება, წყლის ანომალია. სითბური მოძრაობა. ტემპერატურა.
21. სხეულთა შინაგანი (სითბური) ენერგია. თბოგადაცემა და მისი სახეები.
22. სითბოს რაოდენობა, კუთრი სითბოტევადობა. სხეულის სითბოტევადობა.
23. სითბური ბალანსის განტოლება. წვის სითბო.
24. დნობა. დნობი კუთრი სითბო. გამყარება.
25. აორთქლება და კონდენსაცია, დუღილი, ორთქლადქცევისა და კონდენსაციის კუთრი სითბო.
26. სითბური ძრავა. სითბური ძრავას მქ კოეფიციენტი.
27. ზედაპირული დაჭიმულობა. კაპილარული მოვლენები.
28. დამუხტული სხეულების ურთიერთქმედება. ელექტრული მუხტის მუდმივობის კანონი. კულონის კანონი.
29. ელექტრული დენი. ელექტრული დენის წყაროები.
30. ელექტრული წრედი და მისი შემადგენელი ნაწილები. ელექტრული დენი ლითონში.

31. ელექტრული დენის სითბური და ქიმიური მოქმედება. ელექტრული დენის მიმართულება.
32. მუდმივი მაგნიტი. დენის მაგნიტური მოქმედება.
33. დენის ძალა. დენის ძალის გაზომვა.
34. ელექტრული ძაბვა. ძაბვის გაზომვა, გამტარის წინაღობა. კუთრი წინაღობა.
35. რეზისტორი. რეოსტატი.
36. ომის კანონი წრედის უბნისთვის.
37. გამტარების მიმდევრობით შეერთება.
38. გამტარების პარალელური შეერთება. მცველები.
39. დენის მუშაობა და სიმძლავრე. ელექტროგამანათებელი და ელექტროსახურებელი ხელსაწყოები.